



KA020125492025319

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 14/6247

13 / აგვისტო / 2019 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან კობერიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 29/07/2019, #8565/3-48/19 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას ტურიზმის და მასპინძლობის ბიზნესის მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ და ტურიზმის სფეროში კერძო სექტორის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით მიმდინარე წელს დაგეგმილი ძირითადი მიმართულებებისა და ღონისძიებების შესახებ.

არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ მთავრობის ხედვა გულისხმობს ერთი მხრივ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის აქტიურ პოპულარიზაციას და ამ გზით სხვადასხვა მიზნობრივი ბაზრებიდან ვიზიტორების ზრდის ხელშეწყობას, ხოლო მეორეს მხრივ კერძო სექტორის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას და ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

კერძო სექტორის მხარდაჭერის, მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და ტექნიკური დახმარების მიზნით ხორციელდება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და ასევე მიმდინარეობს ახალი მექანიზმების დანერგვა:

- საკრედიტო საგარანტიო სქემა წარმოადგენს კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალ მექანიზმს. მიმდინარე წლის 25 ივლისს სააგენტოს - „ანარმოე საქართველოში“ და 12 კომერციულ ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „საკრედიტო საგარანტიო სქემის“ განხორციელების თაობაზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება, იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. სქემის ფარგლებში, გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 2 000 000 (ორ მილიონ) ლარს. გარანტია გაიცემა სესხის ძირითადი თანხის არაუმეტეს 70 პროცენტის ოდენობით. პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობა.
- სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი (უმასპინძლე საქართველოში) ხელს უწყობს რეგიონებში სასტუმრო ბიზნესის განვითარებას და მენარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ ახორციელებს სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღებისათვის გაცემულ კრედიტზე დარიცხვით არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას წლიური საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებული 10 პროცენტის ოდენობით. კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის კომპონენტი ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის წლიური 300 000 ლარის ანაზღაურებას 2 წლის განმავლობაში.
- მცირე მენარმეების ხელშეწყობისათვის საქართველოს მასშტაბით (გარდა ქ. თბილისისა) სააგენტო - „ანარმოე საქართველოში“ ახორციელებს მიკრო და მცირე მენარმეების ხელშეწყობის პროგრამას,

სადაც გრანტის მაქსიმალური თანხა განისაზღვრება 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით. პროგრამა ყოველწლიურად ცხადდება და აქვს განაცხადის შემოტანის კონკრეტული ვადები. მოგახსენებთ, რომ მიმდინარეობს ახალი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები და პროგრამის გაშვება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში იგეგმება. ამასთან, ტურიზმის სექტორში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დამატებითი ქულა მიენიჭება ბიზნესებს, რომლებიც საქმიანობენ ტურიზმის სფეროში, მათ შორის: ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, მცირე ზომის მარნები და ა.შ.

- ამასთან, სააგენტოში სამინისტროს ინიცირებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი მიმართულების განვითარებაზე, რაც გულისხმობს მცირე და საოჯახო სასტუმროების მხარდაჭერას / სუბსიდირებას. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ფინანსურ მექანიზმებთან დაკავშირებით დეტალების დაზუსტება რომლის ამოქმედებასთან დაკავშირებით ინფორმაცია უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ტურიზმის სექტორში არსებული გამოწვევების გამკლავებისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით მიმდინარე წელს დაგეგმილ ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: მიზნობრივ ბაზრებზე ქვეყნის ცნობადობის გაზრდის მიზნით მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, საქმიანი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლება, ტურისტული პროდუქტების და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და რაც მთავარია, კერძო სექტორისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების და ღონისძიებების, მათ შორის ახალი მექანიზმების განვითარება და შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე არსებული გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი ღონისძიებების, მხარდაჭერის მექანიზმების და პროექტების განხორციელება.

საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის ცნობადობის გაზრდის და მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტების მოზიდვის მიზნით, მარკეტინგულ მიზნობრივ ბაზრებზე დაგეგმილია სატელევიზიო და ინტერნეტ კამპანიების, პრეს და გაცნობითი ტურების და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტული მომსახურების პროვაიდერებთან თანამშრომლობით.

ამასთან, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებული გამოწვევების გამკლავების და ადეკვატური რეაგირების მიზნით მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მოიცავს შემდეგს:


- განისაზღვრა დამატებითი სამიზნე ქვეყნები (უკრაინა, ბალტიის პირეთის ქვეყნები, ისრაელი, ყაზახეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები და ა.შ) რომელთანაც გვაქვს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა, არსებობს ქვეყნის შესახებ გარკვეული ცნობადობა და შესაბამისად, მოხდება აღნიშნულ ბაზრებზე სტიმულირების ღონისძიებების გააქტიურება. გარდა ამისა, აღნიშნულ ქვეყნებში შეინიშნება მოგზაურობის შესახებ გადანყვეტილების სწრაფად მიღების და სპონტანურად დაგეგმის ტენდენცია, რაც დაეხმარება ქვეყანას მოკლე ვადაში გაზარდოს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა.
- USAID-ის ჩართულობით, მიმდინარეობს ციფრული მედია კამპანიების დაგეგმვა და მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება.
- დაიგეგმა ინტეგრირებული (ციფრული მედია-კამპანიები, პრეზენტაციები) მარკეტინგული კამპანიები შემდეგ ქვეყნებში: ისრაელი, პოლონეთი, უკრაინა, ბალტიის ქვეყნები, საუდის არაბეთი, ქუვეითი.
- ავიაკომპანიებთან ერთად დაიგეგმა როუდშოუები: ისრაელში, უზბეკეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ქუვეითში.
- დამატებით დაიგეგმა 200-მდე ჟურნალისტიკის/ბლოგერის ჩამოყვანა პრეს და გაცნობით ტურებზე სხვადასხვა მიზნობრივი ბაზრიდან, როგორცაა ევროკავშირის ქვეყნები, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და უკრაინა.
- კერძო სექტორის ხელშეწყობისათვის დაიგეგმა და განხორციელდა ახალი თემატიკის ტრენინგები განთავსების ობიექტების თანამშრომლებისათვის, კვების ობიექტების თანამშრომლებისათვის, სამთო გამყოლებისათვის და გიდებისათვის ახალი ტურისტული ბაზრების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით.

პარალელურად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პირდაპირი ფრენების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით. ავიაკომპანია „ვიზ ეართან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ქუთაისის აეროპორტიდან ევროპის მიმართულებით 12 ახალი რეგულარული მიმართულება ემატება. აღსანიშნავია, რომ რეგულარული ავიარეისები განხორციელდება სკანდინავიის ქვეყნებში, რომელთანაც რეგულარული ავია რეისები აქამდე არ ხორციელდებოდა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ავიაკომპანია „რინ ეართან“, რომლის შემოსვლაც საქართველოს ავია ბაზარზე უზრუნველყოფს ახალი პირდაპირი ფრენების და შესაბამისად ახალი ტურისტული ნაკადების შემოდინებას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენი შეკითხვა შემდგომი რეაგირების მიზნით ასევე გადაეგზავნა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოგაწვდიან შესაბამის ინფორმაციას.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ნათელა თურნავა